საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2988
28/06/2022

2988-21-2-202206281824

შპს „ოლმონტ ინვესთმენთ თბილისს“
მის: მარაბდის ქ. №33, სართული 2, ბინა №14
ელ.ფოსტა: olmontinvest@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის №2011 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში, 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. სხვა ნებისმიერი პირის მიერ განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების, მოსაწყობი ინფრასტრუქტურისა და შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია (გენგეგმაზე დატანით);
- მოცემული უნდა იყოს სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განვითარებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია და მშენებლობის პროცესში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს ტექნიკური დანიშნულებით წყლის გამოყენებისა და გამოყენებული წყლის შემდგომი მართვის საკითხები;
- მოცემული უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და დროებით განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებას საჭიროებს წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შეფასება;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „პროექტი ხორციელდება საკარმიდამო და სასოფლო სავარგულების დასაცავად“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის
თანახმად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტისთვის, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსით განსაზღვრულ სექტორებში (მათ შორის დაგეგმარება და სივრცითი მოწყობა) და კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებული საქმიანობების სახეობებისთვის განისაზღვრება მახასიათებლები ან/და მოცულობები. იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განვითარებისთვის შემუშავდება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტი, საჭირო იქნება აღნიშნული კოდექსით განსაზღვრული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების გავლა.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო